

თანამედროვე არაბი მწერალი ქალები¹

კრებულში „მე შენზე ვფიქრობ“ ცხრამეტი თანამედროვე არაბი ქალი მწერლის ნოველებია თავმოყრილი. ავტორს – მთარგმნელ იზოლდა გრძელიძეს კარგად იცნობენ აღმოსავლური მწერლობით დაინტერესებული მკითხველები. მისი თარგმანების პირველი კრებული „ღიმილი წყლის ბაგეზე“ 2007 წელს გამოვიდა. XX ს-ის არაბული პროზის ამ მცირე ანთოლოგიამ უამრავ ადამიანს გაუღვივა ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ, რადგან ქ-ნი იზოლდას მიერ შესანიშნავად შესრულებულ თარგმანებში მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოჩინდა აღმოსავლეთი. რაც არ უნდა ბევრი ვიცოდეთ არაბული ქვეყნების პოლიტიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა თუ კულტურის შესახებ, რაც არ უნდა უხვ ინფორმაციას ვუფლობდეთ მის წარსულსა თუ თანამედროვეობაზე, მაინც ვერ დავინახავთ ამ სამყაროს ისე შიგნიდან და ისეთი სისავსით, როგორც ეს მხატვრულ თარგმანებშია შესაძლებელი. მათი კითხვისას თავპირველად გვიჩნდება განცდა, თითქოს უცნობი სამყარო აღმოვაჩინეთ. თუ კიდევ კარგად ჩავუღრმავდებით, შევამჩნევთ, რომ ის რაღაცით ძალიან ახლობელია ჩვენთვის. ქ-ნი იზოლდას ღრმა გათვითცნობიერებულობა არაბულ ენაში, კულტურასა თუ ყოფაში ხელს უწყობს მას, მაქსიმალური სიზუსტით გაიგოს, ჩასწვდეს და მოიტანოს ქართველ მკითხველამდე არაბი ავტორების სათქმელი და სატკივარი.

შემთხვევითი არ არის ერთ კრებულში მხოლოდ ქალი მწერლების თავმოყრა. XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში არაბ ქალთა შემოქმედება ცალკე შესწავლის საგნად იქცა, რადგან მათ უაღრესად საინტერესო, ორიგინალური, გამორჩეული ნაწარმოებები შექმნეს. ერთ-ერთ ინტერვიუში ეგვიპტელი მწერალი ქალი ნავალ ას-სადავი ამბობს: „არაბული ლიტერატურა უფრო და უფრო კონსერვატიული ხდება, განსაკუთრებით ეს მწერალ მამაკაცთა ნაწარმოებებს ეხება. ზოგიერთი მარქსისტიც კი მუსლიმი მწერალი გახდა, რაღა თქმა უნდა, პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებების გამო.“ მართლაც, გასული საუკუნის ბევრი არაბი მამაკაცი მწერალი უფრო ხშირად პოლიტიკურ პრობლემებზე წერდა. ამერიკელი მკვლევარი მარიამ ქუქი აღნიშნავდა: „XX ს-ში არაბი ქალი და მამაკაცი მწერლები რეალობას სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენდნენ. მამაკაცები თავიანთ შემოქმედებაში ეხებოდნენ პოლიტიკის, კოლონიალიზმისა თუ ევსტერნიზაციის საკითხებს. მათი აზრები მნიშვნელოვანი იყო. მათ ჰქონდათ აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება. ქალი მწერლები კი პოლიტიკას იშვიათად ეხებოდნენ. ისინი ადამიანურ ურთიერთობებზე, ემოციებზე პოლიტიკის გვერდის ავლით წერდნენ“. შედეგად მივიღეთ იშვიათი გულწრფელობითა და უშუალოდ შექმნილი ლიტერატურა, რომელიც დაუფარავად წარმოგვიჩენს საზოგადოების, ოჯახის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემატიკას.

არაბულ ქვეყნებში ქალები XIX ს-ის ბოლოს გამოვიდნენ სამწერლო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მანამდე ქალის საქმიანობა ოჯახით შემოიფარგლებოდა, თუმცა დიდი უფლებებით ის ვერც ოჯახში სარგებლობდა. საუკუნეების მანძილზე არაბი ქალი მოძველებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ტყვეობაში იმყოფებოდა, საზოგადოებაში გამოჩენა ეკრძალებოდა. რაღა თქმა უნდა, ამ ყოველივეს ისლამის დოგმატური მოსაზრებებიც უწყობდა ხელს. XIX-XX სს-ის მიჯნაზე დასავლელმა მისიონერებმა არაბულ ქვეყნებში ქალთა სასწავლებლები დააარსეს. ევროპასა და

¹ წინათქმა თანამედროვე არაბი მწერალი ქალების ნოველების კრებულითვის „გრძელია ზამთრის ღამე“, არაბულიდან თარგმნა ი. გრძელიძემ, ქართული აკადემიური წიგნი, 2013.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩაღებული ფემინისტური მოძრაობის გავლენით განათლებამიღებული არაბი ქალები კიდევ უფრო მეტად გააქტიურდნენ სოციალურ ცხოვრებაში, ჟურნალისტიკასა და მწერლობაში, თუმცა დასავლეთში შემუშავებულ ფემინიზმის მოდელებს არაბები ყოველთვის კრიტიკულად აფასებდნენ. ამას დაემატა არაბ განმანათლებელთა მოღვაწეობა – ისინი ხალხის ფართო მასებში განათლების შეტანასა და ისლამის მოდერნიზებას ცდილობდნენ. ეგვიპტელ საზოგადო მოღვაწე აბტაჰტავის (1801-1873) მუსლიმური საზოგადოების ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ეგვიპტელი ქალის შეზღუდული მდგომარეობა მიაჩნდა. ის ემხრობოდა ორმხრივ სიყვარულზე დაფუძნებულ ქორწინებას. ლიბანელმა მწერალმა და მხატვარმა ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა (1883-1931) განმანათლებლებთან შედარებით კიდევ უფრო აამაღლა ქალის როლი საზოგადოებაში და მას ერის გაძლიერების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა. მწერალმა ღიად გაილაშქრა აღმოსავლეთში გავრცელებული ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, საცოლეს ქალის სურვილის გაუთვალისწინებლად ირჩევდნენ. ჯიბრან ხალილის აზრით, მნიშვნელოვანია თანასწორობა ქორწინებაში და თავისუფლება - სიყვარულში, რადგან „სიყვარული ერთადერთი თავისუფლებაა ამ ქვეყანაზე.“ თუმცა წინამდებარე კრებულის წაკითხვის შემდეგ დავინახავთ, რომ მსგავსი პრობლემები ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში არც XX ს-ის ბოლოსთვის არის უცხო.

გასული საუკუნის დასაწყისიდან არაბი ქალი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ქალის შეზღუდულ მდგომარეობას, მის ჩაგვრასა და შევიწროებას აპროტესტებდნენ. ორმოცდაათიან – სამოციან წლებში თამამი ფემინისტური იდეებით გამსჭვალული მოთხრობები და რომანები გამოიცა – ქალი ავტორები არსებულ რეალობას, უთანასწორობასა და უსამართლობას უჯანყდებოდნენ, თავისუფალი ცხოვრების გზას ეძებდნენ. ოთხმოციანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე მწერალი ქალების ახალი თაობა გამოვიდა. მათი მკითხველების წრე გაიზარდა. ფართოვდებოდა ინტერესი არაბი მწერალი ქალების ნაწარმოებებისადმი. მათი მოთხრობები სწრაფად იყიდებოდა. ოთხმოცდაათიან წლებში ქალმა მწერლებმა მეტად გაამახვილეს ყურადღება პირად განცდებზე, ქალის შინაგან სამყაროზე.

დასავლეთშიც ამის გამო აინტერესებთ არაბი ქალების ლიტერატურა – ცხოვრების ინტიმური მხარეების ბოლომდე, გულწრფელად გაშიშვლების გამო. არაბულიდან ინგლისურ ენაზე ყველაზე მხცოვან და ცნობილ მთარგმნელს დენის ჯონსონ დევისს მიაჩნია, რომ არაბ ქალთა ლიტერატურა ყველაზე საინტერესო მასალაა სათარგმნად. გერმანიაში არსებობს სპეციალური გამომცემლობა Alawi Verlag, რომელიც მხოლოდ არაბი ქალი ავტორების თარგმანებს გამოსცემს. დასავლეთში დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო თარგმანების, არამედ ამ ტიპის ლიტერატურის კვლევის მიმართ. თუმცა არაბ ქალთა მწერლობის შესწავლისას მთავარი საკითხი აღარ არის სოციალური უფლებების დაცვა ან თვითდამკვიდრება პატრიარქალურ საზოგადოებაში. ქალთა ლიტერატურას დღეს უფრო მეტად აფასებენ როგორც მაღალი რანგის მხატვრულ ლიტერატურას და არა როგორც სოციალურ პროტესტს.

არაბ ქალთა მწერლობამ განვლო იმიტაციის, პროტესტისა და თვითაღმოჩენის ეტაპები. ის დაიხვეწა და ჩამოყალიბდა საინტერესო, თვითმყოფად ლიტერატურად, სადაც ასახულია, თუ რას გრძნობენ ქალები, როცა მათ აზრს არ ეკითხებიან და ისე ათხოვებენ; თუ როგორ ცვლის გათხოვებამდე ოცნებას სასტიკი რეალობა, როდესაც ქმარი ცოლს არ აღიქვამს ქალად ან საერთოდ არაფრად აგდებს მას. ზოგ შემთხვევაში მამაკაცს უყვარს ცოლი და ვერ გამოხატავს ამას, ან სირცხვილია ქალის მხრიდან

განცდების გამოხატვა... კატარელი მწერლის ჰუდა ან-ნაიმის მოთხრობაში „სული“ მთავარი გმირი გვიყვება: „ჩემს ქმარს არასოდეს უფიქრია ეკითხა, სულში რა მიტრიალებდა... ან წიგნზე, გამუდმებით ხელში რომ მეკავა... არასოდეს შემოუთავაზებია, რომელიმე მოგზაურობაში გავეყოლოდი, რაც ჩვენც გაგვახალისებდა და ბავშვებსაც. არც მე მითხოვია მსგავსი რამ. არასოდეს გახსენებია ჩემი დაბადების ან ჩვენი ქორწინების დღეები... არასოდეს უყიდა სამაჯური ან ყელსაბამი... თუმცა არაფერს იშურებდა ჩვენთვის.“

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ლიტერატურის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართოა - ეგვიპტე, სირია, ქუვეითი, სუდანი, იემენი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ერაყი, პალესტინა, მაროკო, კატარი. ავტორების თანმიმდევრობა ქვეყნების მიხედვით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული, რაც უკეთ წარმოაჩენს ქალთა მწერლობის განვითარების დინამიკას. წიგნი იწყება ეგვიპტელი ალიფა რიფათით, რომელიც ორმოციან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მთავრდება ქუვეითელი ახალბედა ალია ალ-ქაზიმით. გაგოცვით რიფათის შინაგანი სამყაროს სიღრმე, წერის სტილი, ლაკონურობა და სიზუსტე. მის მოკლე ბიოგრაფიაში კი ამოიკითხავთ, რომ არც უნივერსიტეტი დაუმთავრებია და არც უცხო ენები უსწავლია; რომ საკუთარ თავზე იწვინა აგრესია როგორც საზოგადოების მხრიდან, ისე ოჯახში, როცა მას ქმარი უკრძალავდა წერას. მისგან განსხვავებით, ეგვიპტელმა მწერალმა აჰდაფ ას-სუეიფმა ლონდონშიც მიიღო განათლება და დასავლურ სამყაროში საკმაოდ წარმატებული მწერალიც გახდა. ამიტომ წერს ის ევროპაში გათხოვილ ნოსტალგიით შეპყრობილ ქალზე, ეგვიპტეში გათხოვილ უცხოელზე და მათ განცდებზე... თუმცა ას-სუეიფთანაც გვხვდება კითხვები: „შეგვიძლია, გრძნობის გეწამდეს? იქნებ მხოლოდ რომანტიკულ ისტორიებში? ჭკვიანური იქნება, რომ ვენდოთ სიყვარულს?“ ხშირ შემთხვევაში არაბი ქალის სატივარი ნებისმიერი სხვა ქალის სატივართან შეიძლება გაიგივდეს. ის ზოგადია და არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები.

ბოლო დროს, მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი არაბული სამყაროს მიმართ. არაბი ქალი მწერლები, რომლებიც საოცარი სითამამით წერენ ჩვენში ტაბუდადებულ თემებზეც კი, კიდევ ერთხელ შეახედებენ აღმოსავლეთით დაინტერესებულ მკითხველს ამ იდუმალ, შორეულ და თან რაღაცით ახლობელ სამყაროში. ქალის მდგომარეობა სოციუმსა და ოჯახში ხომ ხშირად ქვეყნისა თუ საზოგადოების ნამდვილ სახეს წარმოგვიჩენს.

თუმცა თქვენ, ვინც ამ წიგნის წაკითხვას აპირებთ, პირველ რიგში, წინ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება გელით.

ნინო დოლიძე

30 მაისი, 2013